ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 11-27

"26" იანვარი 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 300330000.35.101.016081) და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^5" ქვეპუნქტი:

„ჰ^5) დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ქუჩებზე ავტობუსების გაჩერებების ადგილების განსაზღვრის შემთხვევაში, მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების გაჩერება უზრუნველყოს მხოლოდ ამ გაჩერებებზე.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზების, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისა და საგზაო მოძრაობის პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

ამ მიზნით შესაბამისი ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს ემატება ქვეპუნქტი, რომელიც ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ ნებართვების მფლობელებს ავალდებულებს დაიცვან სანებართვო პირობა, რომლის მიხედვით დედაქალაქის საკრებულოს მიერ ქუჩებზე ავტობუსების გაჩერებების ადგილების განსაზღვრის შემთხვევაში ამ მეწარმე სუბიექტებმა მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების გაჩერება უნდა უზრუნველყონ მხოლოდ ამ გაჩერებებზე. აღნიშნული ჩანაწერით დედაქალაქის ქუჩებში ეტაპობრივად დარეგულირდება ავტობუსების მოძრაობა და განსაზღვრული იქნება კონკრეტული ლოკაციები, სადაც მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისას უზრუნველყოფილი იქნება მათი უსაფრთხოება.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.